



# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

31 აპრილი  
საბჭოთა  
2023 წელი  
№36 (9298)  
ფასი 40 თეთრი

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2023 წლის 22 აგვისტოს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ჯაფარიძე**.

დღის წესრიგში მოხდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 (ექვსი) თვის შესრულების ანგარიში; განიხილეს ელექტრონული აუქციონის წესით, სასაფლაოების სარეგისტრაციო ფორმის ქონების იჯარით გაცემის საკითხი. მოინახულეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაფინანსებული საპროექტო ნაშრომების (II ეტაპი). ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელსა და დაბუნზე თანხის გადანაწილების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის განკარგულებაში, ასევე ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებზე განსაზღვრული რეგულაციური სამგზავრო გადაწყვეტის №3 კატეგორიის ავტობუსის მარშრუტებისა და სამგზავრო მარშრუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ“ საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებაში.

ცვლილებები შევიდა „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის განკარგულებაში.

იმსჯელეს ქალაქ ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტის (სკვერს) სახელწოდების მინიჭების შესახებ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერს ზაალ ბარათაშვილის სახელი მიენიჭება.

ზაალ ბარათაშვილი დაიბადა ქ. ბორჯომში 1960 წელს. 1977 წელს დაამთავრა ბორჯომის №2 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

1982-1983 წლებში მსახურობდა სამხედრო საავადმყოფო სამსახურში და პარალელურად მოღვაწეობდა მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. 1984-1986 წლებში იყო თუმანიშვილის კინოსახიობა თეატრის მსახიობი.

1987 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. ამ წინს განმავლობაში ორმოცამდე სპექტაკლში ითამაშა და თავისი წვლილი შეიტანა თითოეული სპექტაკლის წარმატებაში.

მოინახულეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის **მედიკიანი ანგარიში 2022-2023 წელს განეული მუშაობის შესახებ; და ა) ა) ა) „ბორჯომის სასაორტო სკოლა“-ის დირექტორის ელიზბარ სპინაძის ანგარიში 2023 წელს განეული მუშაობის შესახებ.**

## „ლაშის სერენადები“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

მეთხოველეთ საერთაშორისო ფესტივალი „ლაშის სერენადები“ გენალურმა ქალბატონმა, ცნობილმა მევიოლინემ, **ლიანა ისაკაძემ** დაარსა საქართველოს უმშვენიერეს, ზღაპრადქცეულ კუთხეში, აფხაზეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში 1982 წელს. ქვეყნის უახლესი ისტორიული, ავადსახსენებელი მოვლენების შემდეგ შეწყდა და 2002 წელს უკვე ბორჯომში აღდგა.



ვირტუოზები „ლელა მჭედლიძის კონცერტმაისტრობით. მსმენელი მოხიბლა და დაატყვევა გერმანელმა კლარნეტისტმა, **საბინე გროფმა იერიშა**, რომელს წარდგენისას იუმორითაც გამოირჩეოდა, სიფრი-

ბორჯომს უნდა დაბრუნებოდა ასეთი დონის ფესტივალები უზრუნველყოს სასიკეთო მომავლის გამო. ასეც მოხდა და მიხარია, რომ დიდი თანადგომა მივიღეთ როგორც მერიისგან, ისე საკრებულოსგან. ორმაგად სასიხარულოა ისიც, რომელს წარდგენისას იუმორითაც გამოირჩეოდა, სიფრი-

„ხელოვნების ზემის“ სახელწოდებით და ყოველწლიურად 2009 წლიდან ტარდებოდა. მოგვიანებით გადაინაცვლა ბათუმში და შემოუერთდა თბილისი, როგორც ფესტივალის ამჟამინდელი ორგანიზატორი, **ნინა ცაგარელი** გვიყვება: ფესტივალისთვის საიუბილეო მეთხოველეთ წელია, რეალურად კი დაარსებიდან 41 წელი გავიდა. ფესტივალის გახსნა გალა კონცერტით შედგა ბორჯომში - უფრო სწორედ, ტრადიციის დაუბრუნდა თავის ადგილს. ფესტივალის მიზანი არის მალაიკური ხელოვნებისა და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, რომელიც აუცილებელია საზოგადოებისთვის.



22 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით XV საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალი „ლაშის სერენადები“ ექვსი დაუვიწყარი კონცერტით აღინიშნება ქალაქ ბორჯომში, ბათუმსა და თბილისში.

მართლაც, შთამბეჭდავ სადამოუკუნო მონანილობდენ მსოფლიო დონის ხელოვნება: ტენორი **გიორგი ონიანი**, კლარნეტისტი **გიორგი ოიკაშვილი**, მეცო-სოპრანო, **მარიამ კიკაბერიძე**, ორკესტრი „საქართველოს

ფანა, ნაზი გოგონა **ვილიკა ფუნშა** გერმანიიდან სოპრანული კლასი გააჩვენა როგორც სოლო, ისე დუეტის პარტიებში, იტალიელმა ახლავადამ, **რიკარდო მარინელო** ომანიანად, დახვეწილი პროფესიონალიზმით გაამდიდრა ფესტივალის სალამო. საოცრად კომუნიკაბელურმა საბინემ სალამოს დასასრულს „ალილუიათი“ აამღერა ყველა, კმაყოფილი საზოგადოება კიდე უფრო გააფრთხილა.

**გიორგი ბუგაიანიშვილი, ბორჯომის მერიის თანამშრომელი კულტურის დარგში:** - როცა ამ თანამდებობაზე დავინიშნე, მაშინვე დავაყენე საკითხი, რომ

**ბუგაიანიშვილი**) იღებს მონანილობას მეგრული ორი სიმღერით ამ ფესტივალზე. შევარჩიეთ მართლაც ულამაზესი ლოკაცია ფესტივალისთვის, ყოფილი „მეთხოველეთ“ სამმართველო“ „ბორჯომი-ლიკანი“ სახელით წოდებულ დიდებულ სასახლეში. დიდი მადლობა საქართველოს საპარტნიორო ფონდს, ბატონ **დავით საკანდელიძეს**.

ნამდვილად, ასეთი სალამოები უხდება ბორჯომის ბუნებას, ასეთი მალაიკური მონანილობით გახარებას იმსახურებს ბორჯომელი საზოგადოება!

## მეგზოებზე პირდაპირი მარშრუტები

დიდხანს ვიფიქრე, ღირდა თუ არა ხაშური-ვალეს (თურქეთის საზღვრამდე) საერთაშორისო საავტომობილო გზის გაჭიანურებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ წერილის დაწერა.

ამ საავტომობილო ტრასის თაობაზე ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა საზოგადოებაში, განსაკუთრებით მძღოლები გამოირჩევიან, რომლებიც კრიტიკულად აფასებენ ახალდაბიდან ქალაქის სასაფლაოს ასახვევამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაჭიანურებას.

როგორც გავარკვეეთ, შ.პ.ს. „რტდ“ (უფროსი ლისუმ ქართლოსაშვილი) უკვე ორი წელია ახალდაბიდან ვაშლოვანამდე ასრულებს სამუშაოებს, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად აგვისტოს ბოლოს უნდა დასრულებულიყო. სამწუხაროდ, ობიექტის დათვალიერებით დაწინაურდით, რომ დარჩენილ სამუშაოებს წლის ბოლომდე თუ დაამთავრებენ, დიდი შრომა მოუწევთ.

მართალია ახალდაბაში დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულეს, მაგრამ მცირე ზომის ღელეების და ნიაღვარსავალი არხები ჯერ კიდევ დასამთავრებელია, ასევე ორი კილომეტრი გზა ახალდაბიდან სავანისხევამდე დასაგებია ახა ა.შ.

მეორე სამშენებლო ორგანიზაციას ფირმა „არალს“ (უფროსი **დიმიტრი თათეშვილი**) ევალდებოდა რკინიგზის სკოლიდან ქალაქის სასაფლაოს ასასვლელამდე ავტოსაგზაო ტერიტორიის მოასფალტება, ნიაღვარსავალი არხების მონტაჟი და 211 ერთეული საგზაო ნიშნების დამონტაჟება, საავტომობილო გზის დახაზვა და სხვა სამუშაოების შესრულება, ეს სამუშაოები დღემდე შესასრულებელია.

სამწუხაროდ, ბორჯომელები და მისი დამსვენებელ-მოაგარაკეები კარგად ხედავენ, რომ აღნიშნული სამუშაოები საკურორტო სეზონის პერიოდში მეგზევეებმა ვერ შესრულეს. კარგად გვესმის, რომ სამუშაოები მეტად შრომატევადი



და ნამდვილად საპასუხისმგებლო იყო, ისიც კარგად გვახსოვს, ფირმა „არალის“ მეგზევეებმა ბორჯომის ცენტრში ლამის საათებში დააგეს ასფალტი, მაგრამ მზიან დღეებში არაფერი გაუკეთებიათ.

თუ ობიექტური ვიქნებით, საავტომობილო გზის გაჭიანურებულმა სამუშაოებმა მეტად ცუდი გავლენა მოახდინა საკურორტო სეზონის მიმდინარეობაზე. დღემდე დაუხაზავია ქალაქის ქუჩები, განსაკუთრებით ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები, რის გამოც არაერთხელ შეიქმნა საავტომობილო სიტუაცია, რამდენიმე ადგილზე მოსასწვრივებელია ნიაღვარსავალი არხები, დასამონტაჟებულია საგზაო ნიშნები და სხვა.

ვინმეს მეგზევეებმა „ბორჯომ-ქალაქობის“ ზეიმამდე ნაწილობრივ მაინც შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ეს მათი ღირსების საქმედ მიგვაჩნია.

**პაპია ლომია.**

## ლონისძიება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა

ბორჯომში, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში **გიორგი ცხადაძემ** და **თაკო კაკალაშვილმა** ბენდ 4+2-თან ერთად კონცერტი გამართა. ბენდმა და მომღერლებმა ყველასთვის ნაცნობი და პოპულარული სიმღერები შეასრულეს.

ლონისძიება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.







